საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1045

13/11/2020

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქვესადგურ „ბათუმი-5“-დან ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქვესადგურამდე 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 28 ოქტომბერს სამინისტროს მომართა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2013 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქვესადგურ „ბათუმი-5“-დან ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქვესადგურამდე 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №3 (25.01.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოს დაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2013 წლის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის (ქვესადგურ „ბათუმი-5“-დან ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქვესადგურამდე) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 29 იანვრის №ი-21 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2013 წლის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქვესადგურ „ბათუმი-5“-დან ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქვესადგურამდე 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №3; 25.01.2013);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის (ქვესადგურ „ბათუმი-5“-დან ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქვესადგურამდე) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 29 იანვრის №ი-21 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი